

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №16

აბაშა, 2024 წლის 27 სექტემბერი

აბაშა, 2024 წლის 27 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდნენ: გელა ხოშტარია, ნანა შენგელია, კონსტანტინე კუჭუხიძე, როინი კაჭარავა, დარეჯან ვადაჭკორია, პროკოფი ნიკურაძე, ზეზუა მაკალათია, ტატიანა ხოშტარია, დავით ცანავა, დიმიტრი ვერულაშვილი, დავით გუნია, ბაქარ შელია, ზაზა ალასანია, მურთაზ ჯალაღონია, იაგო თოდუა, გია კუცია, გია მიგინეიშვილი, გელა ლაბარტყავა, ბაჩუკი ქვილითაია, კოკი ჩაჩავა და მეგული ჩოჩია.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი ე. გაბელაია, ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მუნიციპალური ქონებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი დ. თოფურია.

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის – საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე თ. შოთაძე და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

#### დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 სექტემბრის მორიგი №16 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ე. გაბელაია

3. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ლ. მელაძე

4. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ტ. ხოშტარია

საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ სხდომაზე დამსწრეთ განუმარტა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, რომ მიმდინარეობს სხდომის ფოტოგადაღება, ფოტოსურათები გამოქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე, რაც ეხება სხდომაზე დამსწრე არათანამდებობის პირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომაზე დამსწრე პირებს წინააღმდეგობა არ გამოუთქვამთ.

1

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 სექტემბრის მორიგი №16 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 სექტემბრის მორიგი №16 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 სექტემბრის მორიგი №16 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 21- მა წევრმა.

წინააღმდეგი 0.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №62 (თან ერთვის)

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ე. გაბელაია

მომხსენებელმა ე. გაბელაიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხომტარიამ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 21-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო  
განკარგულება №63 (თან ერთვის)

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ლ. მელაძე

სხდომაზე მომხსენებელმა დ. თოფურიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გ. კუციაშვილმა წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 21-მა წევრმა.  
წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო  
განკარგულება №64 (თან ერთვის)

4

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ტ. ხოშტარია

მომხსენებელმა ტ. ხოშტარიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 21-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო  
განკარგულება №65 (თან ერთვის)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: გ. ხოშტარია

